



## აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU)

---

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,  
დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი  
და პროცედურები

*დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2019  
წლის 07 თებერვლის №08/01-08 ბრძანებით*

*განახლებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2020  
წლის 14 სექტემბრის №06 დადგენილებით*

**EEU**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი |

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

- 1.1. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები (შემდგომში - წესი) არეგულირებს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - „პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესსა და პროცედურებს.
- 1.2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
- 1.3. წინამდებარე წესი სავალდებულოა შესასრულებლად უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის.

### მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამა

- 2.1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.
- 2.2. უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის, მათ შორის, რეგულირებად, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, სამედიცინო განათლების პროგრამას, ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.
- 2.3. **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა** არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც წესი, მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

- 2.3.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია, აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:
- ა. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;
  - ბ. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;
  - გ. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.
- 2.3.2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი სპეციალობის კომბინირება, რომლის ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.
- 2.3.3. თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და ბაკალავრიატის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.
- 2.3.4. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (საგნები/მოდულები) წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები, ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს (საგნებს/მოდულებს).
- 2.4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა** არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც წესი, მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 2.4.1. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც.
- 2.5. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში, შესაძლებელია, გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე

- ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში.
- 2.6. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
- 2.7. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია ითვალისწინებს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.
- 2.8. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა** არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.
- 2.9. **რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა** არის პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით.
- 2.9.1. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.
- 2.10. **სამედიცინო განათლების პროგრამა** არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.
- 2.10.1. ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს და შედგება ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან და სპეციალობის (მედიცინის) სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან/მოდულებისაგან. ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 330 კრედიტი ეთმობა სპეციალობის (მედიცინის) პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას, ხოლო 30 კრედიტი ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.
- 2.11. **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** არის შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში.

- 2.12. პროგრამის შინაარსი, მისი შემადგენელი კომპონენტების შინაარსი და ფორმა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების უნივერსიტეტის შიდა სტანდარტით, ხოლო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შინაარსი ასევე რეგულირებულია დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით.
- 2.13. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა გამომდინარეობდეს უნივერსიტეტის მისიიდან და უზრუნველყოფდეს მის მიღწევას

## **თავი II. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და დამტკიცება**

### **მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება**

- 3.1. უნივერსიტეტის ფარგლებში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა შეიძლება, განხორციელდეს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის მიერ.
- 3.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის საფუძველს შეიძლება, წარმოადგენდეს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა ან სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და ინიცირების საჭიროებას.
- 3.3. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების შესახებ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს.
- 3.4. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების შესახებ საკითხს და, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის შესახებ.
- 3.5. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტი (შემდგომ - „კომიტეტი“) დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით იწყებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.
- 3.5.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეებია:
- ა. ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
  - ბ. ფაკულტეტის ადმინისტრაცია;
  - გ. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, განათლების დეპარტამენტი, ბიბლიოთეკა, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი და სხვა;



- დ. პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები;
- ე. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ვ. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 3.6. კომიტეტის მიერ, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავებული და შეჯერებული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი შესაფასებლად გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (შემდგომ „სამსახური“). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 14 კალენდარული დღის განმავლობაში ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან, რაც ფორმდება სამსახურის დასკვნით.
- 3.7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, პროგრამა, დასკვნის შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად უბრუნდება კომიტეტს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი ითვალისწინებს სამსახურის მიერ გამოთქმულ არგუმენტირებულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს.
- 3.8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა, სამსახურის დადებით დასკვნასთან ერთად, განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს.
- 3.9. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, თანხმობის შემთხვევაში იწონებს მას და უგზავნის უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
- 3.10. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის/რეავტორიზაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა წარმომადგენლობით საბჭოს უნდა გადაეგზავნოს აკრედიტაციის/ავტორიზაციის ვადის გასვლამდე გონივრულ ვადებში.
- 3.11. წარმომადგენლობითი საჭოსათვის გაგზავნილ საგანმანათლებლო პროგრამაზე დასართავი დოკუმენტების/ინფორმაციის ნუსხა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების უნივერსიტეტის შიდა სტანდარტით.
- 3.12. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამა, მასზე თანდართულ დოკუმენტებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის /ავტორიზაციის პროგრამის დამატების თვითშეფასების ანგარიშთან ერთად, წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროგრამული აკრედიტაციისთვის/ავტორიზაციით პროგრამის დამატებისათვის.
- 3.13. პროგრამული აკრედიტაციის პროცედურების/ავტორიზაციით პროგრამის დამატების პროცედურების გავლის და პროგრამის აკრედიტაციის/ავტორიზაციის შესახებ აკრედიტაციის/ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამა.
- 3.14. უნივერსიტეტის ავტორიზაციის ან/და რეავტორიზაციის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა სავალდებულო აკრედიტაცია კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული.

## მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელი გარემოებები

- 4.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პირებმა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, უნდა იხელმძღვანელონ:
- ა. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით, რომელიც აღწერს უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის განზოგადებულ სწავლის შედეგებს და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
  - ბ. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით, რომელიც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს;
  - გ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით, რომელიც ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს;
  - დ. დარგობრივი მახასიათებლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ე. უმაღლესი განათლების სფეროში არსებული სხვა ნორმატიული აქტებით;
  - ვ. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ინსტრუქციებით.
- 4.2. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებულ პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. პროგრამის მიზნები ნათლად უნდა ასახავს, თუ რა ტიპის სპეციალისტის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
- 4.3. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულების შედეგად. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
- 4.4. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარგის თანამედროვე მიღწევები, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო ტენდენციები, უნივერსიტეტის მიერ

იდენტიფიცირებული პრიორიტეტები, პარტნიორი ორგანიზაციების მოსაზრებები, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა.

- 4.5. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პირებმა, ასევე, უნდა გაითვალისწინონ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 4.6. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შემუშავებისას, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პირებმა, სწავლის შედეგების და მათთან დაკავშირებული დატვირთვის საფუძველზე უნდა განსაზღვრონ როგორც თითოეული კომპონენტის, ასევე თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის მოცულობა კრედიტებში.
- 4.7. პროგრამის შემუშავებისას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პირებმა, უნდა გაითვალისწინონ, რომ უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. საგანმანათლებლო პროგრამის სხვა ენაზე სწავლება, გარდა ცალკეული სასწავლო კურსებისა, დასაშვებია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით.
- 4.8. პროგრამის ფარგლებში დასაშვებია უცხო ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურის მითითებით ან ქართულენოვანი კურსის შეთავაზება ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის გამოყენებით, რომელიც მოითხოვს ინგლისური ენის ფლობის შესაბამისი კომპეტენციის დადასტურებას (წინაპირობის განსაზღვრით).
- 4.9. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა უნდა აღინიშნოს შესაბამისი სემესტრებისა და წლების მითითებით.
- 4.10. სასწავლო კურსების სწავლების თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მათი სწავლება განხორციელდეს კურსის ფორმატით. ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობა უნდა აისახოს შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.
- 4.11. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფდეს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.
- 4.12. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტზე ორიენტირებულ მრავალფეროვან და თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდებს. სწავლება-სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფდნენ სწავლის შედეგების მიღწევას.
- 4.13. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე და შეესაბამებოდეს მოქმედ



კანონმდებლობას. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა უნდა მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს.

- 4.14. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აღიწეროს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები, ასევე შესაძლო დასაქმების სფეროები.
- 4.15. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აღიწეროს ის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
- 4.16. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ეფუძნებოდეს სწავლებისა და კვლევის ინტეგრირებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და ინკლუზიურობას, ასევე, კურიკულუმის, სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციას,
- 4.17. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციას და უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს, ასევე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვა.

## **მუხლი 5. აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტი**

- 5.1. ახალი და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განვითარების მიზნით, ფაკულტეტზე იქმნება მუდმივმოქმედი აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტი. კომიტეტი იქმნება ერთი მიმართულების (დარგის, ქვედარგის) სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.
- 5.2. კომიტეტის საქმიანობა და უფლებამოსილება რეგულირდება წინამდებარე წესით, ფაკულტეტის დებულებითა და პროგრამის განვითარების კომიტეტის რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.
- 5.3. კომიტეტს და კომიტეტის სხდომებს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე - ფაკულტეტის დეკანი ან დეკანის მოადგილე.
- 5.4. კომიტეტის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს კომიტეტის მდივანი, რომელიც სამი წლის ვადით ირჩევს კომიტეტი დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
- 5.5. კომიტეტის წევრობა არ არის ანაზღაურებადი სამუშაო. კომიტეტის წევრთა შემადგენლობას ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით.
- 5.6. კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, სტუდენტ(ებ)ი, კურსდამთავრებულ(ებ)ი.

- 5.7. კომიტეტის შემადგენლობაში ასევე შეიძლება შედიოდნენ:  
შესაბამისი მიმართულების (დარგის/ქვედარგის) დამსაქმებლ(ებ)ი, არსებობის შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაციის ან შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, უცხოელი სპეციალისტი (განსაკუთრებით სასურველია უცხოენოვანი პროგრამის შემუშავების შემთხვევაში), ასევე სხვა წევრ(ებ)ი.
- 5.8. ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში კომიტეტის წევრები იკრიბებიან სულ მცირე ორჯერ მაინც.
- 5.9. კომიტეტის თითოეული სხდომის ოქმი ინახება საგანმანათლებლო პროგრამების შიდა რეესტრში.

## მუხლი 6. პროგრამის ხელმძღვანელი

- 6.1. საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესს.
- 6.2. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება, იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.
- 6.3. პროგრამის ორი ან მეტი ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება, იყოს უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.
- 6.4. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ უნდა იყოს ჩართული პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში და უნდა მონაწილეობდეს პროგრამის შეფასება-განვითარებაში.
- 6.5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, პასუხისმგებელია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე.
- 6.6. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი უზრუნველყოფს:
- ა. კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას;
  - ბ. სტუდენტებისთვის ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებას;
  - ბ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას;
  - გ. შიდა და გარე შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას.
  - დ. პროგრამის შიდა, ყოველწლიური, თვითშეფასების პროცესის ადმინისტრირებასა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას.
- 6.7. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი ვალდებულია:

- ა. იზრუნოს პროგრამის მუდმივ განვითარებაზე,
  - ბ. სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამისა და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ;
  - გ. სტუდენტებს გაუწიოს კონსულტაციები საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტებთან, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვასთან დაკავშირებით;
  - დ. მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ.
- 6.8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე, ვალდებულია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად განხორციელოს მუდმივი მონიტორინგი დოქტორანტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებაზე.
- 6.9. პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს პროგრამის ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, ხოლო დეკანის მიერ ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- 6.10. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირების მიზნით.
- 6.11. სწავლების ერთ საფეხურზე ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება, უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას. გადაწყვეტილება გამონაკლისის შესახებ შეიძლება, მიიღოს წარმომადგენლობითმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
- 6.12. დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან პროგრამის ხელმძღვანელობაზე წერილობითი უარის თქმის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს აღნიშნულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის ახალი ხელმძღვანელის განსაზღვრის თაობაზე, დადგენილი წესის შესაბამისად.

### **თავი III. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება**

#### **მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა**

- 7.1. პროგრამის შემდგომი სრულყოფის, განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, კომიტეტის დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე, შესაძლებელია, სასწავლო წლის შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდეს ცვლილების შეტანა ან საგანმანათლებლო პროგრამის განახლება.
- 7.2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების წინაპირობა შეიძლება გახდეს:

- ა. შრომის ან/და განათლების ბაზრის კვლევის შედეგები;
  - ბ. დარგში მიმდინარე სიახლე;
  - გ. სწავლის შედეგების (შეფასებების) მკვეთრი დინამიკა;
  - დ. პროგრამის მატერიალური რესურსების მდგომარეობაში მკვეთრი ცვლილება;
  - ე. პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცვლილება (პარტნიორ ორგანიზაციებთან, პრაქტიკის/სტაჟირების ობიექტებთან ხელშეკრულების ურთიერთობის გაწყვეტა);
  - ვ. გარე შემფასებლის (როგორც აკრედიტაციის/ავტორიზაციის ექსპერტის შეფასება სააკრედიტაციო/საავტორიზაციო შემოწმების ფარგლებში, ისე უნივერსიტეტის მიერ მოწვეული გარე შემფასებელი) შეფასება;
  - ზ. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები.
- 7.3. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად.
  - 7.4. ფაკულტეტის საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე, ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტის წარგინებით, განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, მასში განსახორციელებელ ცვლილებებსა და დამატებებს და წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;
  - 7.5. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების პროექტს, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
  - 7.6. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ცვლილების შემთხვევაში<sup>1</sup>, უნივერსიტეტი ვალდებულია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობით აცნობოს ამის შესახებ, ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
  - 7.7. საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების ენის ცვლილება დაუშვებელია. დაუშვებელია ასევე საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება ან პროგრამის გაყოფა. აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება ახალ საგანმანათლებლო პროგრამად, რომელმაც თავიდან უნდა გაიაროს აკრედიტაცია.
  - 7.8. საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული გამოწვეულია ეროვნული

<sup>1</sup> ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტების დამატება ან/და ამოღება, ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტებისთვის მინიჭებული კრედიტების ცვლილება, მოდულის დამატება ან/და ამოღება, დამატებითი სპეციალობის პროგრამის დამატება ან/და ამოღება.

კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განხორციელებული ცვლილებებით.

## **თავი IV. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების პროცედურა**

### **მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძვლები**

- 8.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება, გახდეს პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი სუსტი მხარეები და რისკ-ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმცირე, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტთა მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა.
- 8.2. საგანმანათლებლო პროგრამის შესაძლებელია გაუქმდეს:
- ა. თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება სტუდენტი;
  - ბ. საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;
  - გ. ფინანსური ან/და სხვა საჭირო რესურსის არარსებობის შემთხვევაში;
  - დ. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

### **მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების პროცედურა**

- 9.1. გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ინიცირების შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის დასაბუთებული შუამდგომლობის, აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტის ანგარიშისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, იღებს ფაკულტეტის საბჭო.
- 9.2. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ინიცირების შესახებ საკითხს და საკმარისი საფუძვლების არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობის შესახებ, რომელსაც განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
- 9.3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
- 9.4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება ეგზავნება უნივერსიტეტის ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.



## მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

- 10.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომ განათლებას და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი, შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.
- 10.2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებამდე ჩარიცხული სტუდენტები სწავლას აგრძელებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, განსხვავებული სასწავლო გეგმით, ისე, რომ მიღწეულ იქნას მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.
- 10.3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობას მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან და შესაბამის დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
- 10.4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი:
  - ა. გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობის ვადაში, აძლევს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არ ხორციელდება.
  - ბ. სტუდენტებს სთავაზობს მობილობას და მოქნილ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მოიცავენ თავსებად და რელევანტურ სასწავლო კურსებს, მოდულებს და/ან თავისუფალ კომპონენტებს და რომლებზეც მობილობის შემთხვევაში მოხდება სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების მაქსიმალური ოდენობით აღიარება;
  - გ. სტუდენტებს აწვდის სრულყოფილ ინფორმაციას სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
  - დ. სტუდენტებს აცნობს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მობილობის წესს, ვადებსა და პირობებს
  - ე. უნივერსიტეტი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას) განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც

ითვალისწინებს პროგრამების თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების პროცედურებს, მობილობის პროცესის გამარტივების მიზნით;

10.5. გაუქმებულ პროგრამაზე რიცხული სტუდენტების კრედიტების აღიარება განხორციელდება უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

## **თავი V. დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 11. დასკვნითი დებულებები**

- 11.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით.
- 11.2. წინამდებარე წესი ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
- 11.3. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე.